1. **სადოქტორო პროგრამა** - ისტორია

ქვედარგი - საქართველოს ისტორია

დოქტორანტის პოტენციური ხელმძღვანელი - ვ. კიკნაძე

კვლევის თემატიკა და ანოტაცია - „საქართველოს ეკლესია XIX ს-ის ბოლოსა და XX ს-ის დასაწყისში“

XIX ს. დასაწყისში საქართველოს ეკლესია რუსული იმპერიის მძიმე დარტყმის ობიექტი გახდა: გაუქმდა მცხეთის საკათალიკოსო ტახტი, „აფხაზეთის“ (დასავლეთ საქართველოს) საკათალიკოსო; შეიქმნა ე.წ. „საქართველო - იმერეთის სინოდალური კანტორა“, ეგზარქოსით სათავეში, რომელიც რუსეთის წმ. სინოდს და იმპერატორს დაექვემდებარა. XIX ს. მიწურულს, საქართველოს სამღვდელოება უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. ერთი მხვრივ, ის ვალდებული იყო უსიტყვოდ შეესრულებინა საქართველო - იმერეთის სინოდალური კანტორის, ეგზარქოსის და იმპერიის სხვა მოხელეების ბრძანება - მითითებანი, მეორე მხვრივ კი, ეზრუნა სამწყსოს სულიერებაზე და მისი ეროვნულობის შენარჩუნებაზე.

საქართველოს ეკლესიის პროგრესულმა, ეროვნულმა ნაწილმა, ყველა სირთულის მიუხედავად, არ უღალატა სარწმუნოებრივ და ეროვნულ პოზიციას და საქართელოს ეკლესიის პრობლემების გადაჭრის უნივერსალურ გზად, მისი ავტოკეფალიის აღდგენა მიიჩნია. მაგრამ XIX ს. მეორე ნახევარში, ამ მიზნის ღიად ქადაგება სრულიად შეუძლებელი იყო. ასევე, საქართველოს ეკლესიაში, ამ მიზნის მისაღწევად წარმოიშვა სხვადასხვა ტაქტიკური თუ სტრატეგიული მიმართულებანი: ხშირად, ამ მიმდინარეობებს სათავისოდ იყენებდა და აღრმავებდა იმპერიის ოფიციოზი. ყველა ამ საკითხის კვლევა და მათი შედარება მსოფლიო გამოცდილებასთან დღესაც აქტუალურია.

დოქტორანტის ფინანსური მხარდაჭერა

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულების თანახმად, დოქტორანტი უფლებამოსილია მიიღოს გრანტი კვლევითი კომპონენტების შემადგენელი აქტივობების დასაფინანსებლად უნივერსიტეტში მოქმედი წესის შესაბამისად.